საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 18 მარტი, 2013 წ.

დადგენილება № 04-01/17

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 53-56-ე მუხლების, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს № 669 ბრძანების, „უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გასაცემი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის „უმაღლესი განათლების დიპლომი“-ს ფორმა (დანართი №1).

2. დამტკიცდეს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გასაცემი პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის (IV და V საფეხურის) „პროფესიული დიპლომი“-ს ფორმა(დანართი № 2).

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთნავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია